დანართი N4

# შეთანხმება
# პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - დანართი) წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის სახლსა“ (შემდგომში - იუსტიციის სახლი) და ---------- (შემდგომში - სადაზღვევო კომპანია) შორის 2026 წლის --- გაფორმებული სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების შესახებ N--- ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) დანართი N4-ს, რომელიც ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობებსა და მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში იუსტიციის სახლი პერსონალურ მონაცემებს (შემდგომში - მონაცემები) ამუშავებს როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, სადაზღვევო კომპანიის, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის დავალებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 36-ე მუხლის შესაბამისად.
2. დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

## მუხლი 2. მონაცემთა დამუშავების მიზნები

იუსტიციის სახლი მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ შემდეგი მიზნებით და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ქვემოთ წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად:

ა) პოლისზე განაცხადის მიღება, მონაცემების ერთიან პროგრამულ სისტემაში შეყვანა და API-ის მეშვეობით სადაზღვევო კომპანიისთვის გადაცემა;

ბ) განცხადებისა და სადაზღვევო კომპანიის მიერ დადასტურებული პოლისის ამობეჭდვა და მომხმარებლისთვის გადაცემა, აგრეთვე, პოლისის ამობეჭდვამდე მონაცემების კორექტირება;

გ) ავტომატური გადახდის სისტემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პოლისის ღირებულების გადახდის ფაქტის ასახვა;

დ) პოლისის გაუქმების შესახებ მომხმარებლის განცხადების მიღება, დასკანირება, ერთიან პროგრამულ სისტემაში ატვირთვა და სადაზღვევო კომპანიისთვის გაგზავნა;

ე) მომხმარებლის მომსახურების მიზნით შესაბამისი ჩანაწერის მოძიება, ხელშეკრულების შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშსწორების მიზნით სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება;

ვ) მატერიალური დოკუმენტაციის შენახვა და სადაზღვევო კომპანიისთვის გადაბარება, ხელშეკრულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 3. მონაცემთა კატეგორიები და შეგროვების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში მუშავდება მომხმარებლის, დაზღვეული პირის (მათ შორის, არასრულწლოვანის) და მათი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის შემდეგი კატეგორიის მონაცემები:

   ა) სახელი, გვარი (მათ შორის, ლათინური ანბანით), პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე და ნომერი;

   ბ) ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

   გ) პოლისის მონაცემები - პოლისის ტიპი, სადაზღვევო პერიოდი, დაზღვევის მოქმედების ტერიტორია, სადაზღვევო პრემიის ოდენობა, განცხადებისა და პოლისის ნომერი და გაცემის თარიღი;

   დ) ინფორმაცია გადახდილი თანხის, გადახდის თარიღისა და ტრანზაქციის იდენტიფიკატორის შესახებ;

   ე) პოლისის გაუქმებისას სადაზღვევო პრემიის დასაბრუნებლად საჭირო საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

   ვ) წარმომადგენლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები და მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა;

   ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემები, ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.
2. მონაცემები გროვდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ან მისი წარმომადგენლისგან, მის მიერ წარდგენილი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის საფუძველზე. იუსტიციის სახლი მონაცემებს არ ავსებს და არ ადარებს იმ მონაცემთა ბაზებსა და რეესტრებს, რომლებზეც მას წვდომა საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად აქვს მინიჭებული.
3. მომსახურების ფარგლებში არ მუშავდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. იუსტიციის სახლი არ მონაწილეობს სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებაში, არ იღებს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

## მუხლი 4. იუსტიციის სახლის დასაქმებულთა მონაცემები

1. იუსტიციის სახლის დასაქმებულთა მონაცემებიდან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული კომუნიკაციის მიზნით, სადაზღვევო კომპანიას გადაეცემა მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი პირების საკონტაქტო ინფორმაცია.
2. ოპერატორების ნაწილში სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ იუსტიციის სახლისთვის, ხოლო სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია, მოითხოვოს განზოგადებული სტატისტიკური ინფორმაცია იუსტიციის სახლების, პერიოდებისა და პოლისის ტიპების ჭრილში.
3. კონკრეტულ პოლისთან დაკავშირებით პროცედურული დარღვევის დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია იუსტიციის სახლს წერილობით მიმართავს განცხადების ან/და პოლისის ნომრის მითითებით. იუსტიციის სახლი შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესების შესაბამისად შეისწავლის საკითხს და სადაზღვევო კომპანიას აცნობებს გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, დასაქმებულის იდენტიფიცირების გარეშე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

## მუხლი 5. მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებები

მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო კომპანიის წერილობითი დავალების შესაბამისად, რომელიც არ სცდება აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ფარგლებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა დამუშავების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;

ბ) მონაცემები არ დაამუშაოს საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისთვის და არ განახორციელოს მათი შემდგომი დამუშავება ხელშეკრულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული მიზნით;

გ) მონაცემებზე წვდომა მიანიჭოს მხოლოდ იმ დასაქმებულებს, რომლებიც მონაწილეობენ სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების მიწოდებაში და უზრუნველყოს მათი ინფორმირება მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების შესახებ, რომელიც ძალაში რჩება სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც;

დ) მის ხელთ არსებული რესურსით დაეხმაროს სადაზღვევო კომპანიას კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის, მონაცემთა უსაფრთხოების, ინციდენტის მართვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზების საკითხებში და წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ დანართით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დასადასტურებლად;

ე) უზრუნველყოს, რომ ამ დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს მიეწოდოს მონაცემთა შეგროვებისას, განცხადებაზე დართვის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა ფორმით. ამ ინფორმაციის შინაარსზე პასუხს აგებს სადაზღვევო კომპანია.

## მუხლი 6. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

1. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

   ა) იუსტიციის სახლს დავალება (მითითება) მისცეს მხოლოდ წერილობით, ხელშეკრულების მე-9 მუხლით განსაზღვრული საშუალებით. დავალება, რომლის შესრულებაც საჭიროებს ერთიანი პროგრამული სისტემის ან მომსახურების პროცესის ცვლილებას, სრულდება მხარეთა მიერ წერილობით შეთანხმებულ ვადაში;

   ბ) ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების აქტის გაფორმებამდე იუსტიციის სახლს წარუდგინოს მონაცემთა სუბიექტისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის ტექსტი, რომელიც მოიცავს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

   გ) იუსტიციის სახლის მხრიდან მიღებული მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ სადაზღვევო ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით;

   დ) API ინტეგრაცია გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. API ინტეგრაციის საიდენტიფიკაციო მონაცემების

(გასაღებების, სერტიფიკატების) გამოყენების კანონიერების ფაქტთან დაკავშირებული, დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ აცნობოს იუსტიციის სახლს.

2. სადაზღვევო კომპანია დამოუკიდებლად აგებს პასუხს იმ დამუშავებაზე, რომელსაც ახორციელებს მონაცემების მიღების შემდეგ, მათ შორის, მონაცემების საერთაშორისო კომპანიისთვის, სამედიცინო დაწესებულებისთვის, გადამზღვევისთვის ან სხვა პირისთვის გადაცემაზე, მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემაზე კანონის 37-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე, ავტომატური გადახდის სისტემის მომსახურების გამწევ საბანკო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე. იუსტიციის სახლი ამ დანართის ფარგლებში მონაცემებს სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას არ გადასცემს.

### მუხლი 7. მონაცემთა უსაფრთხოება

თითოეული მხარე, საკუთარი ინფრასტრუქტურის ფარგლებში, იღებს კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.

### მუხლი 8. მონაცემთა დამუშავების პროცესში სხვა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ჩართვა

იუსტიციის სახლი ამ დანართით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, სრულად ან ნაწილობრივ, სხვა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს გადასცემს მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობით, კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად. ხსენებულ მოთხოვნას სადაზღვევო კომპანიამ უნდა უპასუხოს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო უარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ გონივრულ საფუძველს. ასეთ პირთან იუსტიციის სახლი აფორმებს წერილობით შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის სულ მცირე ამ დანართით განსაზღვრულ სტანდარტს და პასუხს აგებს მის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე. ავტომატური გადახდის სისტემის მომსახურების გამწევი საბანკო ორგანიზაციები იუსტიციის სახლის მიერ ჩართულ პირებად არ ითვლებიან.

### მუხლი 9. მონაცემთა დამუშავების კონტროლი

სადაზღვევო კომპანია, კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, აკონტროლოს ამ დანართის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების კანონიერება წერილობითი შეკითხვის ან ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. ადგილზე ვიზიტი ხორციელდება წერილობითი შეტყობინებიდან არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ, მხარეთა მიერ შეთანხმებულ დროს, წელიწადში არაუმეტეს ერთხელ (გარდა ინციდენტის ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევისა) და იმგვარი ფორმით, რომ არ შეფერხდეს იუსტიციის სახლში არსებული სერვისების მოქალაქეთათვის მიწოდება.

### მუხლი 10. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტის მიერ კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე რეაგირებას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია. იუსტიციის

სახლში წარდგენილ ასეთ მოთხოვნას იუსტიციის სახლი სადაზღვევო კომპანიას გადაუგზავნის მისი მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა და ამის შესახებ აცნობებს მონაცემთა სუბიექტს. სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნით იუსტიციის სახლი არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა აწვდის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს, რომელიც აუცილებელია მოთხოვნაზე რეაგირებისთვის.

## მუხლი 11. ინციდენტის მართვა

1. იუსტიციის სახლი აღრიცხავს ამ დანართის ფარგლებში დამუშავებულ მონაცემებთან დაკავშირებულ ყველა ინციდენტს და კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მისი აღმოჩენიდან 24 (ოცდაოთხი) საათისა აცნობებს სადაზღვევო კომპანიას ამ დანართის მე-14 მუხლში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. შეტყობინება მოიცავს ინციდენტის გარემოებებს, ინციდენტის შემთხვევის ან/და აღმოჩენის დროს, მონაცემთა კატეგორიებს, რომელთა მიმართაც დადგა ინციდენტი და მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო რაოდენობას, სავარაუდო შედეგებს, გატარებულ ან/და დაგეგმილ ღონისძიებებს და საკონტაქტო პირის მონაცემებს. თუ სრული ინფორმაციის მიწოდება ობიექტური მიზეზით შეუძლებელია, მისი მიწოდება დასაშვებია ეტაპობრივად, ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების საჭიროებას, კანონის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, აფასებს და ინფორმირებას ახორციელებს სადაზღვევო კომპანია, რომელიც დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა, აცნობებს იუსტიციის სახლს საკუთარ ინფრასტრუქტურაში მომხდარი იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ინციდენტის შესახებ საჯარო განცხადება ან მონაცემთა სუბიექტისთვის გასაგზავნი შეტყობინება, რომელშიც მოხსენიებულია იუსტიციის სახლი, მასთან წინასწარ თანხმდება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია კანონით დადგენილ ვადაში, იუსტიციის სახლს ხსენებული ინფორმაცია უნდა ეცნობოს მის გავრცელებამდე.

## მუხლი 12. მონაცემთა შენახვა და წაშლა

1. პროგრამულ სისტემაში ელექტრონული ჩანაწერები ინახება ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხოლო მატერიალური დოკუმენტაცია სადაზღვევო კომპანიისთვის გადაბარებამდე. ხელშეკრულების შეწყვეტის ან დასრულების შემთხვევაში იუსტიციის სახლი დაუყოვნებლივ წყვეტს მონაცემთა დამუშავებას და გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს სადაზღვევო კომპანიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს მათ წაშლას. ხსენებული ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ მხარეთა შორის დადებული ახალი ხელშეკრულება ითვალისწინებს იუსტიციის სახლის მიერ იმავე მონაცემების დამუშავების უფლებამოსილებას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის სახლი უფლებამოსილია, შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შენახვაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვისა და საარქივო საქმის

მომწესრიგებელი კანონმდებლობით. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის დავის წარმოშობისას იუსტიციის სახლი მოქმედებს კანონის 36-ე მუხლით დადგენილი წესით.

### მუხლი 13. პასუხისმგებლობა

1. მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ ამ დანართითა და კანონით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევით მიყენებული ზიანისთვის. იუსტიციის სახლი პასუხს არ აგებს ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო კომპანიის წერილობითი დავალების შესრულებით, მონაცემთა სუბიექტის ან მისი წარმომადგენლის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის წარდგენით, სადაზღვევო კომპანიის ან მისი კონტრაქტორების (მათ შორის, საერთაშორისო კომპანიის, საბანკო ორგანიზაციის ან გადამზღვევის) მიერ მონაცემთა დამუშავებით ან ამ დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შინაარსით.
2. თითოეული მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ამ დანართის დარღვევასთან დაკავშირებული დამუშავების შეჩერება დარღვევის აღმოფხვრამდე. თუ დარღვევა არ აღმოიფხვრება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ან დარღვევა უხეში/სისტემატური ხასიათისაა, მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მე-12 მუხლის შესაბამისად. სადაზღვევო კომპანიის მიერ ამ დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად, რაც იუსტიციის სახლის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

### მუხლი 14. საკონტაქტო პირები

ინციდენტის შესახებ შეტყობინებისა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხებისთვის მხარეთა საკონტაქტო პირები არიან: იუსტიციის სახლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ელექტრონული ფოსტა - niktsetskhladze@psh.gov.ge) და სადაზღვევო კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ელექტრონული ფოსტა - ----------). საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ მხარეები ერთმანეთს ინფორმაციას აწვდიან წერილობით.

### მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში წინამდებარე დანართი უპირატესია ხელშეკრულების სხვა დებულებებთან მიმართებით.
2. წინამდებარე დანართში ცვლილების ან დამატების შეტანა ხორციელდება მხოლოდ მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.